

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს

2008 წლის 16 დეკემბრის 2008/115/EC დირექტივა

საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებასთან დაკავშირებით

ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, კერძოდ, მის 63-ე მუხლს (3) (ბ),

ითვალისწინებენ რა, კომისიის წინადადებას,

მოქმედებენ რა, ხელშეკრულების 251-ე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად,¹

მაშინ, როდესაც:

(1) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ტამპერეში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე, ევროპის საბჭომ დაადგინა თანმიმდევრული მიდგომა იმიგრაციის და თავშესაფრის სფეროში, რომელიც შეეხება როგორც საერთო თავშესაფრის სისტემის, ისე ლეგალური საიმიგრაციო პოლიტიკის შექმნასა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

(2) 2004 წლის 4 და 5 ნოემბერს ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, ევროპის საბჭომ მოითხოვა გაყვანის (გაძევების) და რეპატრაციის ეფექტური, საერთო სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება იმ პირებისთვის, რომელთა დაბრუნებაც ჰუმანური ფორმით, ფუნდამენტური უფლებებისა და ღირსების სრული პატივისცემით უნდა მოხდეს.

(3) 2005 წლის 4 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო "ოცი სახელმძღვანელო პრინციპი იძულებითი დაბრუნების შესახებ".

(4) კარგად მართული მიგრაციის პოლიტიკის აუცილებელი ელემენტის, ეფექტური

დაბრუნების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად უნდა დადგინდეს მკაფიო, გამჭვირვალე და სამართლიანი წესები.

(5) წინამდებარე დირექტივამ უნდა დააწესოს ჰორიზონტალური წესები, რომლებიც მიემართება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ წევრ სახელმწიფოში შესვლის, დარჩენის ან ბინადრობის პირობებს.

(6) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში უკანონოდ დარჩენის შეწყვეტა სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურის მეშვეობით მოხდეს. ევროკავშირის კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების თანახმად, წინამდებარე დირექტივაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს თითოეული კონკრეტული საქმის განხილვის საფუძველზე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს, რომ განხილვა მხოლოდ უკანონოდ ყოფნის ფაქტით არ შემოიფარგლოს. დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სტანდარტული ფორმების გამოყენებისას, კერძოდ, დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებებისა და, მათი გაცემის შემთხვევაში, შესვლის აკრძალვასა და გაყვანასთან (გამეგებასთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ამ პრინციპს და სრულად დააკმაყოფილონ წინამდებარე დირექტივის ყველა შესაბამისი მოთხოვნა.

(7) ხაზგასმით აღნიშნულია დაბრუნების პროცესის ხელშეწყობის მიზნით მესამე ქვეყნებთან თანამეგობრობისა და ორმხრივი რეადმისიის შესახებ შეთანხმებების საჭიროება. დაბრუნების პროცესის ყველა ეტაპზე წარმოშობის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი დაბრუნების მიღწევის წინაპირობაა.

(8) აღიარებულია, რომ სავსებით ლეგიტიმურია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა დააბრუნონ არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეები, იმ პირობით, თუ არსებობს თავშესაფრით უზრუნველყოფის სამართლიანი და ეფექტური სისტემები, რომელიც სრულად ითვალისწინებს გამეგების დაუშვებლობის პრინციპს.

(9) წევრ ქვეყნებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის პროცედურებთან დაკავშირებული მინიმალური სტანდარტების შესახებ საბჭოს 2005 წლის 1 დეკემბრის 2005/85/EC დირექტივისⁱⁱ შესაბამისად, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც წევრ სახელმწიფოს თავშესაფრის უზრუნველყოფის თხოვნით მიმართა, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი, სანამ მის განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება ან მისი, როგორც თავშესაფრის მაძიებლის, დარჩენის უფლების დასრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არ შევა ძალაში.

(10) სადაც არ არსებობს მიზეზი ვარაუდისთვის, რომ ეს ზიანს მიაყენებს დაბრუნების პროცედურის მიზანს, ნებაყოფლობით დაბრუნებას იძულებით დაბრუნებასთან

შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს და ნებაყოფლობითი გამგზავრებისთვის შესაბამისი პერიოდი უნდა განისაზღვროს. ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ნებაყოფლობით წასვლის/გამგზავრების პერიოდის გახანგრძლივება. ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა დაბრუნების პროცესის მხარდაჭერა და კონსულტაციის გაწევა უნდა უზრუნველყონ და მაქსიმალურად გამოიყენონ ევროპის დაბრუნების ფონდით გათვალისწინებული შესაბამისი დაფინანსების შესაძლებლობები.

(11) დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ უნდა დადგინდეს საერთო სამართლებრივი გარანტიები, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებულ პირთა ინტერესების ეფექტური დაცვა. აუცილებელი სამართლებრივი დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, ვისაც საკმარისი რესურსები არ გააჩნიათ. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა განსაზღვრონ, თუ რომელ შემთხვევებშია აუცილებელი სამართლებრივი დახმარება.

(12) განხილული უნდა იქნას მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების მდგომარეობა, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან ქვეყანაში და რომელთა გაყვანა (გამეევება) ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მათი ძირითადი საარსებო პირობები უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით. იმისათვის, რომ ადმინისტრაციული კონტროლის ან შემოწმების შემთხვევაში, მათი კონკრეტული სიტუაციის დასაბუთება შესაძლებელი იყოს, ასეთ პირებს მათი მდგომარეობის წერილობითი დასტური უნდა გადაეცეთ. წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მოქმედების თავისუფლება წერილობითი დასტურის ფორმასა და ფორმატთან დაკავშირებით და ასევე უნდა შეეძლოთ მისი გათვალისწინება ამ დირექტივის თანახმად დაბრუნებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში.

(13) იძულებითი ზომების გამოყენება პირდაპირ უნდა ექვემდებარებოდეს პროპორციულობის და ეფექტურობის პრინციპებს, გამოყენებული საშუალებებისა და დასახული მიზნების გათვალისწინებით. უნდა დადგინდეს იძულებითი დაბრუნების განხორციელების მინიმალური გარანტიები, რომლებიც გაითვალისწინებს საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/573/EC გადაწყვეტილებას ერთობლივი რეისების ორგანიზებასთან დაკავშირებით, ორი ან მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების გასაყვანად (გასამეევებლად), რომლებიც ინდივიდუალური გაყვანის (გამეევების) ბრძანებებს ექვემდებარებიან. ⁱⁱⁱ წევრ სახელმწიფოებს იძულებითი დაბრუნების მონიტორინგისათვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება უნდა შეეძლოთ.

(14) ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაბრუნების პროცედურებს ევროპული განზომილება უნდა მიენიჭოს ქვეყანაში შესვლის აკრძალვის დაწესებით, რომელიც ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლასა და დარჩენას კრძალავს. ქვეყანაში შესვლის აკრძალვის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს

ცალკეული შემთხვევის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით და, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე უკვე დაექვემდებარა ერთზე მეტ დაბრუნების გადაწყვეტილებას ან გაყვანის (გამეევების) ბრძანებას ან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქვეყანაში შესვლის აკრძალვის პერიოდში შევიდა.

(15) წევრმა სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, გულისხმობს თუ არა დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა განმხილველი ორგანოს უფლებამოსილებას, დაბრუნებასთან დაკავშირებით ადრე მიღებული გადაწყვეტილება საკუთარი გადაწყვეტილებით ჩაანაცვლოს.

(16) დაკავება გაყვანის (გამეევების) მიზნით უნდა შეიზღუდოს და გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებთან მიმართებით პროპორციულობის პრინციპს დაექვემდებაროს. დაკავება გამართლებულია მხოლოდ დასაბრუნებელი პროცედურების მოსამზადებლად ან გაყვანის (გამეევების) პროცედურების განსახორციელებლად და იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად იძულებითი ზომების მიღება საკმარისი არ იქნებოდა.

(17) მესამე ქვეყნის დაკავებულ მოქალაქეებს უნდა მოექცნენ ჰუმანურად და ღირსეულად, მათი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემითა და საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. სამართალდამცავი ორგანოების მიერ თავდაპირველი დაკავების დარღვევის გარეშე, რაც რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით, დაკავება, როგორც წესი, უნდა მოხდეს დაკავების სპეციალიზებულ დაწესებულებებში.

(18) წევრი სახელმწიფოებისთვის სწრაფად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემულ ქვეყანაში შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის გაზიარება უნდა მოხდეს შენგენის მეორე თაობის საინფორმაციო სისტემის (SIS II) შექმნის, ექსპლუატაციის და გამოყენების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) N1987/2006 რეგულაციის შესაბამისად^{iv}.

(19) ამ დირექტივის განხორციელების პროცესში, დაბრუნების პროცესში ჩართულ უწყებებს შორის ყველა დონეზე თანამშრომლობა და საუკეთესო გამოცდილების გაცვლა და ხელშეწყობა უნდა მოხდეს, რაც ევროპულ დამატებით ღირებულებას უზრუნველყოფს.

(20) რადგან წინამდებარე დირექტივის მიზანი, კერძოდ, დაბრუნებასთან, გაყვანასთან (გამეევებასთან), იძულებითი ზომების გამოყენებასთან, დაკავებასა და ქვეყანაში შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით საერთო წესების ჩამოყალიბება ვერ იქნება სათანადოდ მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ და, შესაბამისად, მისი მასშტაბისა და ეფექტების გამო, შესაძლოა, უკეთ იქნას მიღწეული ევროპული გაერთიანების დონეზე, გაერთიანებას შეუძლია ხელშეკრულების მე-5 მუხლით

გათვალისწინებული სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისი ზომების მიღება. ამავე მუხლით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, ეს დირექტივა არ სცდება იმ საზღვრებს, რომლებიც ამ მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

(21) წევრმა სახელმწიფოებმა ეს დირექტივა სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, გენეტიკური თვისებების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უნდა განახორციელონ.

(22) ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენციის შესაბამისად, 'ბავშვის საუკეთესო ინტერესები' უპირველესად უნდა იქნას გათვალისწინებული წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის განხორციელებისას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისად, ოჯახური ცხოვრების პატივისცემა უპირველესად უნდა იქნას გათვალისწინებული წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის განხორციელებისას.

(23) ამ დირექტივის გამოყენება ხდება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის გარეშე, 1967 წლის 31 იანვრის ნიუ იორკის ოქმით გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად.

(24) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და განსაკუთრებით იცავს პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით.

(25) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანია არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და არ ეკისრება ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს დირექტივა ეფუძნება - რამდენადაც ის ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად^v - შენგენის კანონმდებლობას, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მესამე ნაწილის IV კარის დებულებების საფუძველზე, დანია ვალდებულია, აღნიშნული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, ამ დირექტივის მიღებიდან ექვსი თავის განმავლობაში გადაწყვიტოს, დაწერგავს თუ არა აღნიშნულ დირექტივას თავის ეროვნულ კანონმდებლობაში.

(26) იმის გათვალისწინებით, რომ ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად, ეს დირექტივა გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, რომლებშიც გაერთიანებული სამეფო არ იღებს მონაწილეობას,

საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც შეეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ დებულებებში^{vi}; გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას და აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, გაერთიანებული სამეფო არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და ამიტომ არ ეკისრება ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება.

(27) იმის გათვალისწინებით, რომ ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად, ეს დირექტივა გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, რომლებშიც ირლანდია არ იღებს მონაწილეობას, საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/192/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც შეეხება ირლანდიის თხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ დებულებებში^{vii}; უფრო მეტიც, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას და აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, ირლანდია არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და ამიტომ არ ეკისრება ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება.

(28) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, რამდენადაც ეს დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად, იგი გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, ევროკავშირის საბჭოს, ისლანდიის რესპუბლიკისა და ნორვეგიის სამეფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება ამ ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემუშავებასთან და რაც მიეკუთვნება ზემოხსენებული ხელშეკრულების განხორციელების შესახებ საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის, "გ" პუნქტით^{viii} გათვალისწინებული ზომების სფეროს.

(29) რაც შეეხება შვეიცარიას, რამდენადაც წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად, იგი გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, ევროკავშირის, ევროგაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელებასთან,

გამოყენებასა და შემუშავებასთან, რაც მიეკუთვნება ზემოხსენებული ხელშეკრულების განხორციელების შესახებ საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის, "გ" პუნქტით^{ix} გათვალისწინებული ზომების სფეროს და უნდა განიხილებოდეს საბჭოს 2008/146/EC გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთად.

(30) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, რამდენადაც წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ ასრულებენ ან აღარ ასრულებენ ქვეყანაში შესვლის პირობებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის შესაბამისად, იგი გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, ევროკავშირს, ევროგაერთიანებას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის სამთავროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც შეეხება ლიხტენშტეინის სამთავროს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემუშავებასთან, რაც მიეკუთვნება ზემოხსენებული ხელშეკრულების გამოსაყენებლად საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის, "ც" პუნქტით^x გათვალისწინებული ზომების სფეროს და უნდა განიხილებოდეს ევროგაერთიანების სახელით ხელმოწერისა და ზემოხსენებული ოქმის გარკვეული დებულებების დროებით გამოყენების შესახებ საბჭოს 2008/261/EC გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთად^{xi}.

მიიღო წინამდებარე დირექტივა:

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

საგანი

წინამდებარე დირექტივა ადგენს ერთიან სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაბრუნებლად, როგორც ევროგაერთიანების სამართლის, ისე საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების, ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, ლტოლვილთა დაცვისა და ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 2

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
2. წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, არ გამოიყენოს ეს დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც:
 - (ა) ექვემდებარებიან ქვეყანაში შეშვებაზე უარს შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ან რომლებიც დააკავეს ან დაიჭირეს კომპეტენტურმა ორგანოებმა წევრი სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო გარე საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებით და რომლებსაც შემდგომში არ მიუღიათ ამ წევრ სახელმწიფოში ყოფნის ნებართვა ან უფლება;
 - (ბ) ექვემდებარებიან დაბრუნებას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის შედეგის სახით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ან ექვემდებარებიან ექსტრადიციის პროცედურებს.
3. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სარგებლობენ ევროგაერთიანების თავისუფალი გადაადგილების უფლებით, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-2 (5) მუხლში.

მუხლი 3

განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, შემდეგი განმარტებები უნდა იქნას გამოყენებული:

1. "მესამე ქვეყნის მოქალაქე" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის კავშირის მოქალაქე ხელშეკრულების მე-17 (1) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და რომელიც არ არის პირი, რომელსაც აქვს ევროგაერთიანების თავისუფალი გადაადგილების უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-2 (5) მუხლში;
2. "უკანონოდ დარჩენა" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის ყოფნას, რომელიც არ ასრულებს, ან აღარ ასრულებს ქვეყანაში შესვლის პირობებს, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-5 მუხლში

ან კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში შესვლის, დარჩენის ან ბინადრობის სხვა პირობებს;

3. “დაბრუნება” ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქის უკან დაბრუნების პროცესს - დაბრუნების ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას ან იძულებით დაბრუნებას:

- მისი წარმოშობის ქვეყანაში, ან

- სატრანზიტო ქვეყანაში, თანამეგობრობის შეთანხმების, რეადმისიის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების ან სხვა შეთანხმებების შესაბამისად, ან

- სხვა მესამე ქვეყანაში, რომელშიც კონკრეტული მესამე ქვეყნის მოქალაქე ნებაყოფლობით გადაწყვეტს დაბრუნებას და რომელშიც მას მიიღებენ.

4. “დაბრუნების გადაწყვეტილება” ნიშნავს ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებას ან აქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის დარჩენა არის უკანონო და აკისრებს მას დაბრუნების ვალდებულებას;

5. “გაყვანა (გაძევება)” ნიშნავს დაბრუნების ვალდებულების აღსრულებას, კერძოდ, წევრ სახელმწიფოს გარეთ ფიზიკურ ტრანსპორტირებას;

6. “ქვეყანაში შესვლის აკრძალვა” ნიშნავს ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებას ან აქტს, რომელიც თან ახლავს დაბრუნების გადაწყვეტილებას და განსაზღვრული ვადით კრძალავს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლასა და დარჩენას;

7. “მიმალვის საფრთხე” ნიშნავს ცალკეულ შემთხვევაში, ისეთი მიზეზების არსებობას რომლებიც ეფუძნება კანონით განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს ვარაუდისთვის, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაბრუნების პროცედურებს ექვემდებარება, შეიძლება მიიმალოს;

8. “ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვება” ნიშნავს დაბრუნების ვალდებულების შესრულებას დადგენილ ვადაში, რომელიც ამ მიზნისთვის განისაზღვრება დაბრუნების გადაწყვეტილებაში;

9. “მოწყვლადი პირები” ნიშნავს არასრულწლოვნებს, თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვნებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ხანდაზმულებს, ორსულ ქალებს, მარტოხელა მშობლებს არასრულწლოვანი შვილებით და პირებს, რომლებიც იყვნენ წამების, გაუპატიურების და სხვა მძიმე ფორმის ფსიქოლოგიური,

ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

მუხლი 4

უფრო ხელსაყრელი დებულებები

1. წინამდებარე დირექტივა არ დაარღვევს:

(ა) ევროგაერთიანებას ან ევროგაერთიანებას, მის წევრ სახელმწიფოებსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების უფრო ხელსაყრელ დებულებებს;

(ბ) ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების უფრო ხელსაყრელ დებულებებს.

2. წინამდებარე დირექტივა არ დაარღვევს არცერთ დებულებას, რომელიც შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის, როგორც ეს გადმოცემულია ევროგაერთიანების სამართალში იმიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებით.

3. წინამდებარე დირექტივა არ დაარღვევს წევრი სახელმწიფოების უფლებას, მიიღონ და შეინარჩუნონ დებულებები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია იმ პირებისთვის, რომლებსაც ეს ეხებათ, იმ პირობით, რომ ასეთი დებულებები შეესაბამება ამ დირექტივას.

4. რაც შეეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებზეც ეს დირექტივა 2 (2) (ა) მუხლის შესაბამისად არ ვრცელდება, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ მათდამი მოპყრობა და დაცვის დონე იყოს არანაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე როგორც ეს გადმოცემულია მე-8 (4) და (5) მუხლში (შეზღუდვები იძულებითი ზომების გამოყენებაზე), მე-9 (2) (ა) მუხლში (ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) გადავადება), მე-14 (1) (ბ) და (დ) მუხლში (გადაუდებელი ჯანდაცვა და მოწყვლადი პირების საჭიროებების გათვალისწინება) და მე -16 და მე -17 მუხლებში (დაკავების პირობები) და

(ბ) პატივი სცენ გამეფების დაუშვებლობის პრინციპს.

მუხლი 5

**გაძვეების დაუშვებლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ოჯახური ცხოვრება და
ჯანმრთელობის მდგომარეობა**

წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას წვერი სახელმწიფოები გაითვალისწინებენ:

(ა) ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

(ბ) ოჯახურ ცხოვრებას;

(გ) მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობას,

და გაძვეების დაუშვებლობის პრინციპს.

თავი II

ქვეყანაში უკანონო ყოფნის შეწყვეტა

მუხლი 6

დაბრუნების გადაწყვეტილება

1. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა გასცენ დაბრუნების გადაწყვეტილება ნებისმიერი მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რომელიც არალეგალურად იმყოფება მათ ტერიტორიაზე, მე-2 დან მე-5 პუნქტებში აღნიშნული გამონაკლისების დარღვევის გარეშე.
2. მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და გააჩნიათ სხვა წვერი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის მოქმედი ნებართვა ან სხვა ნებართვა, რომელიც მათ დარჩენის უფლებას აძლევს, სხვა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ გადასვლა მოეთხოვებათ. მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქის მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ან თუკი აუცილებელია მესამე ქვეყნის მოქალაქის დაუყოვნებლივ გამგზავრება საჯარო პოლიტიკის ან ეროვნული უსაფრთხოების მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას 1-ელი პუნქტი.
3. წვერ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავი შეიკავონ დაბრუნების გადაწყვეტილების გაცემისგან მათ ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ, თუ მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს უკან მიიღებს სხვა წვერი სახელმწიფო ორმხრივი შეთანხმებების და მოლაპარაკებების ფარგლებში, ამ დირექტივის ძალაში შესვლის დღეს. ასეთ შემთხვევაში, წვერმა სახელმწიფომ,

რომელმაც უკან მიიღო მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე, უნდა გამოიყენოს პირველი პუნქტი.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს, თანამგრძობი, ჰუმანიტარული თუ სხვა მიზეზების გამო, გადაწყვიტონ მათ ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ ავტონომიური ბინადრობის ნებართვის ან სხვა ნებართვის გადაცემა, რომელიც ანიჭებს დარჩენის უფლებას. ამ შემთხვევაში არავითარი დაბრუნების გადაწყვეტილება არ გაიცემა. იქ, სადაც დაბრუნების გადაწყვეტილება უკვე გაცემულია, ის უნდა გაუქმდეს ან შეჩერდეს ბინადრობის ნებართვის ან სხვა ნებართვის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, რომელიც ანიჭებს დარჩენის უფლებას.

5. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არალეგალურად რჩება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ექვემდებარება მისი ბინადრობის ნებართვის ან დარჩენის უფლების მიმნიჭებელი ნებართვის განახლების მიმდინარე პროცედურას, მოცემული წევრი სახელმწიფო დაბრუნების გადაწყვეტილების გაცემისაგან თავის შეკავების შესაძლებლობას მიმდინარე პროცედურის დასრულებამდე, მე-6 პუნქტის დარღვევის გარეშე განიხილავს.

6. წინამდებარე დირექტივა ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს, კანონიერად ყოფნის დასრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღონ დაბრუნების გადაწყვეტილებასთან ან/და ქვეყნიდან გაყვანის (გამეგების) შესახებ გადაწყვეტილებასთან ან/და ქვეყანაში შესვლის აკრძალვასთან ერთად, ერთ ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებაში ან აქტში, როგორც ეს გათვალისწინებულია მათ ეროვნულ კანონმდებლობაში, იმ პროცედურული გარანტიების დარღვევის გარეშე, რომლებიც გათვალისწინებულია III თავში და ევროგაერთიანებისა და ეროვნული კანონმდებლობის სხვა სათანადო დებულებებში.

მუხლი 7

ნებაყოფლობით გამგზავრება

1. დაბრუნების გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებისთვის შესაბამის პერიოდს შვიდიდან ოცდაათ დღემდე, მე-2 და მე-4 მუხლში მითითებული გამონაკლისების დარღვევის გარეშე. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გაითვალისწინონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში, რომ ასეთი პერიოდი მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს მხოლოდ განაცხადის საფუძველზე მიეცეს. ასეთ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეებს ასეთი განაცხადის წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე უნდა აცნობონ.

პირველ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დროის პერიოდი არ უნდა გამორიცხავდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყნის ადრე დატოვებას.

2. წევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაახანგრძლივონ ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვადა შესაბამისი პერიოდით, ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, როგორცაა ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობა, სასკოლო ასაკის ბავშვებისა და სხვა ოჯახური და სოციალური კავშირების არსებობა.

3. გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს მიმალვის საფრთხის თავიდან აცილებას, როგორცაა რეგულარული ანგარიშგება ხელისუფლების წინაშე, ადეკვატური ფინანსური გარანტიის მიცემა, დოკუმენტების წარდგენა ან გარკვეულ ადგილას დარჩენის ვალდებულება, შეიძლება დაკისრებული იქნას ნებაყოფლობით გამგზავრებისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

4. თუ არსებობს მიმალვის საფრთხე ან თუ განაცხადი კანონიერად დარჩენასთან დაკავშირებით უარყოფილია, როგორც აშკარად უსაფუძვლო ან გაყალბებული, ან თუ დაინტერესებული პირი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვადის მიცემისაგან თავი შეიკავონ ან დააწესონ შვიდ დღეზე უფრო ხანმოკლე ვადა.

მუხლი 8

ქვეყნიდან გაყვანა (გამევევა)

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა აღასრულონ დაბრუნების გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ არავითარი ვადა არ იქნა მიცემული ნებაყოფლობით დატოვებისთვის მე-7 (4) მუხლის შესაბამისად, ან თუ დაბრუნების ვალდებულება არ შესრულდა მე-7 მუხლის შესაბამისად ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებისთვის მიცემულ ვადაში.

2. თუ წევრმა სახელმწიფომ ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებისთვის მე-7 მუხლის შესაბამისად დააწესა ვადა, დაბრუნების გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ვადა ამოიწურება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მე-7 (4) მუხლში მითითებული რისკი მიცემული ვადის განმავლობაში წარმოიქმნება.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ ცალკეული ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება ან აქტი, რომელიც ქვეყნიდან გაყვანას (გამევევას) მოითხოვს.

4. თუ წევრი ქვეყნები იყენებენ - უკიდურეს შემთხვევაში - იძულებით ღონისძიებებს მესამე ქვეყნის მოქალაქის ქვეყნიდან გასაყვანად (გასამევებლად), რომელიც ეწინააღმდეგება გაყვანას (გამევებას), ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს პროპორციული და არ უნდა აღემატებოდეს ძალის გამოყენების მისაღებ ფარგლებს. ისინი უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად და მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების სათანადო პატივისცემით.

5. საჰაერო გზით გაყვანის (გამევების) შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ საერთო სახელმძღვანელო მითითებები უსაფრთხოების დებულებებთან დაკავშირებით საჰაერო გზით ერთობლივი გაყვანის (გამევების) შემთხვევაში, რომელიც თან ერთვის 2004/573/EC გადაწყვეტილებას.

6. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იძულებითი დაბრუნების ეფექტური მონიტორინგის სისტემა.

მუხლი 9

ქვეყნიდან გაყვანის (გამევების) გადავადება

1. წევრი სახელმწიფოები ქვეყნიდან გაყვანას (გამევებას) გადაავადებენ:

(ა) როდესაც ეს დაარღვევდა გამევების დაუშვებლობის პრინციპს, ან

(ბ) მანამ, სანამ შემაჩერებელი ქმედება არ იქნება უზრუნველყოფილი მე-13 (2) მუხლის შესაბამისად.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაავადონ ქვეყნიდან გაყვანა (გამევება) შესაბამისი ვადით ინდივიდუალური შემთხვევის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ:

(ა) მესამე ქვეყნის მოქალაქის ფიზიკური მდგომარეობა ან გონებრივი შესაძლებლობები;

(ბ) ტექნიკური მიზეზები, როგორცაა ტრანსპორტირების საშუალებების ნაკლებობა ან ქვეყნიდან გაყვანის (გამევების) შეფერხება იდენტიფიკაციის არარსებობის გამო.

3. თუ ქვეყნიდან გაყვანა (გამევება) გადაიდო, 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მე-7(3) მუხლში გათვალისწინებული ვალდებულებები შეიძლება დაეკისროს მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს.

მუხლი 10

თანმხლები პირების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა დაბრუნება და გაყვანა (გაძევება)

1. თანმხლები პირების გარეშე მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით დაბრუნების გადაწყვეტილების გაცემამდე, უზრუნველყოფილი უნდა იქნას დახმარება შესაბამისი ორგანოების მხრიდან, გარდა იმ ორგანოებისა, რომლებიც აღასრულებენ დაბრუნებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებით.

2. თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაყვანამდე (გაძევებამდე), წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები უნდა დარწმუნდნენ, რომ იგი დაუბრუნდება მის ოჯახს, დანიშნულ მეურვეს ან შესაბამის მიმღებ დაწესებულებას დაბრუნების ქვეყანაში.

მუხლი 11

ქვეყანაში შესვლის აკრძალვა

1. დაბრუნების გადაწყვეტილებებს თან უნდა ახლდეს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა:

(ა) თუ მიცემული იქნა ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვადა, ან

(ბ) თუ დაბრუნების ვალდებულება არ იქნა დაკმაყოფილებული.

სხვა შემთხვევაში დაბრუნების გადაწყვეტილებებს შეიძლება ახლდეს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა.

2. ქვეყანაში შესვლის აკრძალვის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალური შემთხვევის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით და პრინციპში არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს. თუმცა, ეს ვადა შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საჯარო პოლიტიკისთვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა ან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

3. წევრი სახელმწიფოები განიხილავენ ქვეყანაში შესვლის აკრძალვის მოხსნის ან შეჩერების საკითხს, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება 1-ელი პუნქტის მეორე ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ ქვეყანაში შესვლის აკრძალვას, შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ მან წევრი სახელმწიფოს ტერიტორია დაბრუნების გადაწყვეტილების სრული დაცვით დატოვა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები, რომლებსაც მიეცათ ბინადრობის ნებართვა საბჭოს ბინადრობის ნებართვის შესახებ 2004 წლის 29 აპრილის 2004/81/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ან რომლებიც იყვნენ არალეგალური იმიგრაციის ხელშემწყობი მოქმედების საგანი და რომლებიც თანამშრომლობენ კომპეტენტურ ორგანოებთან^{xii}, არ უნდა ექვემდებარებოდნენ ქვეყანაში შესვლის აკრძალვას, 1-ელი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის, (ბ) პუნქტის დარღვევის გარეშე და იმ პირობით, რომ მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ცალკეულ შემთხვევებში, ჰუმანიტარული მიზეზებიდან გამომდინარე, ქვეყანაში შესვლის აკრძალვის გაცემისაგან, გაუქმებისა და შეჩერებისაგან თავი შეიკავონ.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გააუქმონ ან შეაჩერონ ქვეყანაში შესვლის აკრძალვა ცალკეულ შემთხვევებში ან გარკვეული კატეგორიის შემთხვევებში სხვა მიზეზების გამო.

4. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო განიხილავს ბინადრობის ნებართვის ან ქვეყანაში დარჩენის უფლების მიმნიჭებელი სხვა ნებართვის გაცემას, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც ექვემდებარება სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ქვეყანაში შესვლის აკრძალვას, იგი ვალდებულია, პირველ რიგში, კონსულტაცია გაიაროს წევრ სახელმწიფოსთან, რომელმაც გასცა ქვეყანაში შესვლის აკრძალვა და გაითვალისწინოს მისი ინტერესები კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად შენგენის შეთანხმების განხორციელების შესახებ^{xiii}.

5. 1-ელი და მე-4 პუნქტები გამოიყენება საერთაშორისო დაცვის უფლების დარღვევის გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/83/EC დირექტივის მე-2(ა) მუხლში, მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ლტოლვილების ან სხვა საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირების კვალიფიკაციისა და სტატუსისა და წევრ სახელმწიფოში მინიჭებული დაცვის შინაარსის მინიმალური სტანდარტების შესახებ.

თავი III

პროცედურული გარანტიები

მუხლი 12

ფორმა

1. დაბრუნების გადაწყვეტილებები და, გაცემის შემთხვევაში, ქვეყანაში შესვლის აკრძალვისა და ქვეყნიდან გაყვანასთან (გამეევებასთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებები, გაიცემა წერილობით და მოიცავს ფაქტობრივ და სამართლებრივ მიზეზებს, ისევე, როგორც ინფორმაციას სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ.

ინფორმაცია ფაქტობრივი მიზეზების შესახებ შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეროვნული კანონმდებლობა იძლევა ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, კერძოდ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და სისხლის სამართლებრივი დანაშაულის პრევენცია, გამოძიება, დადგენა და სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. თხოვნის საფუძველზე, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ძირითადი ელემენტების წერილობით ან ზეპირ თარგმანს, როგორც ეს მითითებულია 1-ელ პუნქტში და ინფორმაციას რომელიც სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ იმ ენაზე, რომელიც ესმის მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან რომელიც შესაძლებელია გონივრულად ჩაითვალოს, რომ უნდა ესმოდეს.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ არ გამოიყენონ მე-2 პუნქტი მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც უკანონოდ შევიდნენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლებსაც შემდგომში არ მიუღიათ იმ წევრ ქვეყანაში დარჩენის ნებართვა ან უფლება.

ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, როგორც ეს მითითებულია 1-ელ პუნქტში, მოცემული უნდა იქნას სტანდარტული ფორმის საშუალებით, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წევრმა სახელმწიფოებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ განზოგადებული საინფორმაციო ფურცლები, რომლებიც განმარტავს სტანდარტული ფორმის ძირითად ელემენტებს, სულ მცირე, იმ ხუთ ენაზე, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ და ესმით არალეგალ მიგრანტებს, რომლებიც შედიან კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 13

დაცვის საშუალებები

1. მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს ეძლევა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, გაასაჩივროს დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ან მოითხოვოს მათი გადახედვა, როგორც ეს მითითებულია მე-12 (1) მუხლში,

კომპეტენტური სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური ორგანოს წინაშე, რომლის წევრებიც არიან მიუკერძოებელი და სარგებლობენ დამოუკიდებლობის გარანტიებით.

2. 1-ელ პუნქტში ნახსენებ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გადახედოს დაბრუნებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, როგორც ეს მითითებულია მე-12 (1) მუხლში, მათ შორის, მათი აღსრულების დროებით შეწყვეტის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დროებით შეჩერება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უკვე გამოყენებადია.

3. მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია, წარმომადგენლობა და, საჭიროების შემთხვევაში, ენობრივი დახმარება.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო სამართლებრივი დახმარება ან/და წარმომადგენლობა მიწოდებული იქნას უფასოდ, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის და სამართლებრივი დახმარების შესახებ წესების შესაბამისად და შეიძლება გაითვალისწინონ, რომ ასეთი უფასო სამართლებრივი დახმარება და/ან წარმომადგენლობა ექვემდებარებოდეს 2005/85/EC დირექტივის მე-15 (3)-დან (6)-მდე მუხლში გადმოცემულ პირობებს.

მუხლი 14

გარანტიები დაბრუნების პროცესში

1. წევრმა სახელმწიფოებმა, გარდა მე-16 და მე-17 მუხლებში მოცემული სიტუაციისა, შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინება მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით, ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებისთვის მე-7 მუხლის შესაბამისად მიცემული ვადისა და იმ პერიოდის განმავლობაში, რა ვადითაც გადაიდო ქვეყნიდან გაყვანა (გაძევება) მე-9 მუხლის შესაბამისად:

(ა) ოჯახის ერთიანობა ოჯახის წევრებთან, რომლებიც იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე, შენარჩუნებულია;

(ბ) გადაუდებელი ჯანდაცვა და ავადმყოფობის აუცილებელი მკურნალობა გათვალისწინებულია;

(გ) არასრულწლოვნებისთვის საბაზისო განათლების სისტემა ხელმისაწვდომია, მათი დარჩენის ხანგრძლივობის შესაბამისად;

(დ) მოწყვლადი პირების სპეციალური საჭიროებები გათვალისწინებულია.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ 1-ელ პუნქტში ნახსენებ პირებს წერილობითი დასტურით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომ ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვადა გაგრძელდა მე-7(2) მუხლის შესაბამისად და რომ დაბრუნების გადაწყვეტილება დროებით არ აღსრულდება.

თავი IV

დაკავება ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) მიზნით

მუხლი 15

დაკავება

1. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვა საკმარისი, მაგრამ ნაკლებად იძულებითი ზომები შეიძლება, კონკრეტულ შემთხვევაში ეფექტურად იქნას გამოყენებული, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დააკავონ მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება დაბრუნების პროცედურებს, რათა მოამზადონ დაბრუნების ან/და ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) პროცესი, კერძოდ, თუ:

(ა) არსებობს მიმალვის საფრთხე ან

(ბ) მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე თავს არიდებს და ხელს უშლის დაბრუნების მომზადებას ან ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) პროცესს.

ნებისმიერი სახის დაკავება უნდა მოხდეს რაც შეიძლება ხანმოკლე ვადით და გაგრძელდეს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მომზადდება და გულდასმით განხორციელდება ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) პროცედურები.

2. დაკავების ბრძანება უნდა გასცეს ადმინისტრაციულმა ან სასამართლო ხელისუფლებამ.

დაკავების შესახებ ბრძანება უნდა გაიცეს წერილობით, ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზების განმარტებით.

როდესაც დაკავების ბრძანება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაიცემა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ დაკავების კანონიერების სწრაფი სასამართლო განხილვა, რაც გადაწყდება მაქსიმალურად სწრაფად დაკავების დაწყებისთანავე;

ბ) ან მისცენ მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს სამართალწარმოების უფლება, რომლის საშუალებითაც დაკავების კანონიერება დაექვემდებარება სწრაფ

სასამართლო განხილვას, რომელიც გადაწყდება მაქსიმალურად სწრაფად, შესაბამისი სამართალწარმოების დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა მესამე ქვეყნის კონკრეტულ მოქალაქეს ამგვარი სამართალწარმოების შესაძლებლობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ.

მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე დაუყოვნებლივ უნდა იქნას გათავისუფლებული, თუ დაკავება არ არის კანონიერი.

3. ნებისმიერ შემთხვევაში, დაკავება განხილული უნდა იყოს გონივრული პერიოდულობით მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქის განაცხადის საფუძველზე ან დაკავებული თანამდებობის მიხედვით. გახანგრძლივებული დაკავების პერიოდის შემთხვევაში, გადახედვა ექვემდებარება ზედამხედველობას სასამართლო ხელისუფლების მიერ.

4. როცა აღმოჩნდება, რომ ქვეყნიდან გაყვანის (გამეევების) გონივრული პერსპექტივა ან 1-ელ მუხლში მოცემული პირობები, სამართლებრივი ან სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე, აღარ არსებობს, დაკავება აღარ ითვლება დასაბუთებულად და კონკრეტული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

5. დაკავება უნდა გაგრძელდეს, სანამ არ შესრულდება 1-ელ პუნქტში მოცემული პირობები და ეს აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნიდან გაყვანის (გამეევების) წარმატებულად განხორციელება. თითოეული წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს შეზღუდული პატიმრობის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

6. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, არ გაახანგრძლივონ მე-5 პუნქტში მითითებული პერიოდი შეზღუდული ვადით, რომელიც არ აღემატება შემდგომ თორმეტ თვეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც, მიუხედავად ყველა მათი გონივრული ძალისხმევისა, ქვეყნიდან გაყვანის (გამეევების) ოპერაცია, სავარაუდოდ, გაგრძელდება უფრო დიდხანს:

(ა) მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქის მხრიდან თანამშრომლობის არარსებობის გამო, ან

(ბ) მესამე ქვეყნებიდან საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებისას შეფერხებების გამო.

მუხლი 16

დაკავების პირობები

1. დაკავება, როგორც წესი, დაკავების სპეციალიზებულ დაწესებულებაში უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს სპეციალიზებული დაკავების დაწესებულებაში გადაყვანა და იძულებულია, ციხეში

გადაყვანას მიმართოს, დაკავებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები ჩვეულებრივი პატიმრებისაგან განცალკევებულად უნდა განთავსდნენ

2. დაკავებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მიეცეთ უფლება - თხოვნის საფუძველზე - რომ დაამყარონ დროული კონტაქტი კანონიერ წარმომადგენლებთან, ოჯახის წევრებსა და კომპეტენტურ საკონსულტო ხელისუფლებასთან.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლადი პირების მდგომარეობას. გადაუდებელი ჯანდაცვა და ავადმყოფობის აუცილებელი მკურნალობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

4. შესაბამის და კომპეტენტურ ეროვნულ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ეწვიონ დაკავების დაწესებულებებს, როგორც ეს მითითებულია 1-ელ პუნქტში, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი გამოიყენება მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაკავებლად ამ თავის შესაბამისად. ასეთი ვიზიტები შეიძლება დაექვემდებაროს ნებართვას.

5. დაკავებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია იმ წესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დაწესებულებაში და ადგენს მათ უფლებებს და მოვალეობებს. ასეთი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მათი უფლების შესახებ, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დაუკავშირდნენ მე-4 პუნქტში მითითებულ ორგანიზაციებსა და ორგანოებს.

მუხლი 17

არასრულწლოვანთა და ოჯახების დაკავება

1. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისა და არასრულწლოვანი წევრების მქონე ოჯახების დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და უმოკლესი სათანადო დროით.

2. დაკავებული ოჯახები, რომლებიც ელოდებიან ქვეყნიდან გაყვანას (გამეევბას), უზრუნველყოფილნი უნდა იქნან ცალკე საცხოვრებლით და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიით.

3. დაკავებულ არასრულწლოვნებს საშუალება უნდა მიეცეთ, ჩაერთონ გასართობ აქტივობებში, მათ შორის, თამაშებსა და რეკრეაციულ აქტივობებში, მათი ასაკის შესაბამისად და უნდა ჰქონდეთ წვდომა განათლებაზე, მათი დარჩენის ხანგრძლივობის შესაბამისად.

4. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები შეძლებისდაგვარად უნდა იყვნენ განთავსდნენ დაწესებულებებში, რომელთა პერსონალი და საცხოვრებელი პირობები მათი ასაკის ადამიანების საჭიროებებს ითვალისწინებს.

5. მცირეწლოვანთა დაკავებისა და ქვეყნიდან გასაყვანად მზადების კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იქნას გათვალისწინებული.

მუხლი 18

საგანგებო სიტუაციები

1. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბრუნებელი მესამე ქვეყნის მოქალაქეების განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა გაუთვალისწინებელ მძიმე ტვირთად აწვება წევრი სახელმწიფოს დაკავების დაწესებულებებს ან მის ადმინისტრაციულ ან სასამართლო პერსონალს, ასეთ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, განსაკუთრებული სიტუაციის შენარჩუნების პირობებში, გადაწყვიტოს, დაუშვას უფრო ხანგრძლივი პერიოდი სასამართლო განხილვისთვის, ვიდრე ამას ითვალისწინებს მე-15 (2) მუხლის მესამე ქვეპუნქტი, მიიღოს გადაუდებელი ზომები დაკავების პირობებთან მიმართებით და უგულებელყოს მე-16 (1) და მე-17 (2) მუხლებში განსაზღვრული პირობები.

2. ასეთი განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებისას, წევრი სახელმწიფო ვალდებულია, აცნობოს კომისიას. იგი ასევე აცნობებს კომისიას, როგორც კი ამ განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენების მიზეზები აღარ იარსებებს.

3. ამ მუხლში არაფერი უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც წევრი სახელმწიფოებისთვის იმ ზოგადი ვალდებულების უგულებელყოფის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც მათ უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი, ზოგადი თუ სპეციფიკური ზომა, რათა უზრუნველყონ თავიანთი ვალდებულებების შესრულება ამ დირექტივის შესაბამისად.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 19

ანგარიშგება

კომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით ანგარიშს ყოველ სამ წელიწადში აბარებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებებს სთავაზობს.

კომისია ანგარიშს პირველად 2013 წლის 24 დეკემბერს წარადგენს და ამ პროცესში განსაკუთრებით გაამახვილებს ყურადღებას წევრ სახელმწიფოებში მე-11, მე-13 (4) და მე-15 მუხლების გამოყენებაზე. მე-13 (4) მუხლთან დაკავშირებით, კომისია განსაკუთრებით შეაფასებს დამატებით ფინანსურ და ადმინისტრაციულ ზემოქმედებას წევრ სახელმწიფოებში.

მუხლი 20

ტრანსპოზიცია

1. წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივის შესასრულებლად საჭირო კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები 2010 წლის 24 დეკემბრამდე უნდა აამოქმედონ. მე-13 (4) მუხლთან მიმართებით, წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივის შესასრულებლად აუცილებელია კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც 2011 წლის 24 დეკემბრამდე უნდა აამოქმედონ. ამ ღონისძიებების ტექსტი/შინაარსი მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას.

თუკი წევრი სახელმწიფოები შეიმუშავენ ამ მექანიზმებს, მათ უნდა შეიტანონ ამ დირექტივაზე მითითება ან, მათი ოფიციალური გამოცემის შემთხვევაში, თან უნდა დაურთონ ასეთი მითითება. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა მომზადდეს ასეთი მითითება.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის იმ ძირითადი დებულებების ტექსტის/შინაარსის შესახებ, რომლებსაც მიიღებენ იმ სფეროში, რომლებსაც მოიცავს ეს დირექტივა.

მუხლი 21

შენგენის კონვენციასთან ურთიერთობა

წინამდებარე დირექტივა ანაცვლებს შენგენის შეთანხმების განხორციელების შესახებ კონვენციის 23-ე და 24-ე მუხლების დებულებებს.

მუხლი 22

ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს შევა ძალაში.

მუხლი 23

ადრესატები

წინამდებარე დირექტივა მიემართება წევრ სახელმწიფოებს, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად.

მომზადებულია სტრასბურგში, 2008 წლის 16 დეკემბერს.

ევროპის პარლამენტის სახელით

პრეზიდენტი

ჰანს-გერტ პეტერინგი

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

ბრუნო ლე მაირე

⁽¹⁾ ევროპის პარლამენტის 2008 წლის 18 ივნისის მოსაზრება (ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2008 წლის 9 დეკემბრის განცხადება .

⁽²⁾ [OJ L 326, 13.12.2005, გვ. 13.](#)

⁽³⁾ [OJ L 261, 6.8.2004, გვ. 28.](#)

⁽⁴⁾ [OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4.](#)

⁽⁵⁾ ევროპის პარლამენტის დადგენილება (EC) No 562/2006 და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის დადგენილება, ადამიანების გადაადგილების მარეგულირებელი წესების შესახებ ევროგაერთიანების კოდექსის ჩამოყალიბების შესახებ (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) ([OJ L 105, 13.4.2006, გვ. 1](#)).

⁽⁶⁾ [OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.](#)

⁽⁷⁾ [OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.](#)

⁽⁸⁾ [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.](#)

⁽⁹⁾ [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1.](#)

⁽¹⁰⁾ [OJ L 83, 26.3.2008, გვ. 3.](#)

⁽¹¹⁾ [OJ L 261, 6.8.2004, გვ. 19.](#)

⁽¹²⁾ [OJ L 239, 22.9.2000, გვ. 19.](#)

⁽¹³⁾ [OJ L 304, 30.9.2004, გვ. 12.](#)

ⁱ ევროპარლამენტის 2008 წლის 18 ივნისის დასკვნა (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2008 წლის 9 დეკემბერის გადაწყვეტილება.

ⁱⁱ [OJ L 326, 13.12.2005, გვ. 13.](#)

ⁱⁱⁱ [OJ L 261, 6.8.2004, გვ. 28.](#)

^{iv} [OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4.](#)

^v ევროპარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EC) No 562/2006 რეგულაცია, რომელიც აფუძნებს თანამეგობრობის კოდექსს საზღვრებზე ადამიანთა გადაადგილების წესებთან დაკავშირებით (შენგენის საზღვრების კოდექსი) ([OJ L 105, 13.4.2006, გვ. 1.](#)).

^{vi} [OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.](#)

^{vii} [OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.](#)

^{viii} [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.](#)

^{ix} [OJ L 176, 10.7.1999, p. 31.](#)

^x [OJ L 176, 10.7.1999, p. 31.](#)

^{xi} [OJ L 83, 26.3.2008, p. 3.](#)

^{xii} [OJ L 261, 6.8.2004, p. 19.](#)

^{xiii} [OJ L 239, 22.9.2000, p. 19.](#)